

კრიპტოვალუტა ფინანსური ბაზრის განვითარების ახალი მიმართულება

ეკა ავალიანი
სტუდ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

კრიპტოვალუტის ცნობადობა და გამოყენება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდება და შეიძლება ითქვას, რომ მან მიიღწია ყველა დროის მაქსიმუმს. კრიპტოვალუტის გამოყენებით განხორციელებული ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი მოდის, სავაჭრო და სპეკულაციურ ოპერაციებზე, რომლებსაც ძირითადად ახორციელებენ პროფესიონალი და ინსტიტუციური ინვესტორები.

ლეგალიზაციის გეოგრაფიის გაფართოებამ, ასევე მასშტაბურობის, კონფიდენციალურობის, ვალიდობის და რეალური აქტივების ტოკენიზაციის პროცესების ზრდამ გამოიწვია კრიპტოვალუტების ლიკვიდურობის გაზრდა.

მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კრიპტოვალუტას იყენებენ სხვადასხვა ტრანზაქციების განსახორციელებლად. აღნიშნული ოპერაციების შესასრულებლად კი მიმართავენ დეცენტრალიზებულ ფინანსურ სისტემას (DeFi), რომელიც მოიცავს ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს DeFi წარმოადგენს დეცენტრალიზებული ფულის(კრიპტოვალუტის) პლატფორმას.

ჩვენი კვლევის მიზანია მიმოვიხილოთ კრიპტოვალუტის პოტენციალი და მასზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც გამოვლინდა ახალი გლობალური ფულადი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში. ასევე ნაშრომში განხილულია დეცენტრალიზებული ფინანსები(DeFi), როგორც ახალი თაობის ფინანსური სერვისების სისტემა. მისი მეშვეობით არსებულ ფინანსურ სისტემაში მიმდინარეობს მოქმედი ტრადიციული ტექნოლოგიების ჩანაცვლება.

საკვანძო სიტყვები: დეცენტრალიზებული ფული, კრიპტოვალუტა, გეოპოლიტიკა, ბლოკჩეინ ტექნოლოგია, დეცენტრალიზებული ფინანსები.

CRYPTOCURRENCY: A NEW FRONTIER FOR FINANCIAL MARKET IMPROVEMENT

Eka Avaliani
PhD Student of GTU

INTRODUCTION

The importance that Cryptocurrency has in the modern financial world is increasing daily and we can even say that, at this current moment it's the highest it has ever been. The majority of transactions that are done by Cryptocurrencies are sales in different fields and special operations, which are executed by professional, institutional investors.

We can say that the increase that cryptocurrencies have in their Market cap/ valuation is caused by a couple of reasons which are: countries officially accepting crypto as a payment option, security of personal information during the transfer (meaning cold wallets which you might not even share any of your personal information with) and tokenization of real assets.

Amount of people who are using cryptocurrencies in their day-to-day lives is increasing daily. For them to be able to do transactions they are using something called decentralized finance (Defi), which includes all of the services and products, which are based on blockchain technology. We might even say that Defi is a platform of decentralized money.

In this article, you will find a short summary of potential of the cryptocurrency market and factors, which were revealed during the process of creating a new global financial system, as well as decentralized finances (DEFI), as a financial system of the new generation, which is being used to substitute current traditional financial technologies.

Key words: decentralized money, cryptocurrency, geopolitics, blockchain technology, decentralized finance.

დღევანდელ მსოფლიოში კრიპტოვალუტის ინდუსტრია აქტიურად ვითარდება და ფაქტია, რომ დრო დეცენტრალიზებული ფულის სასარგებლოდ მუშაობს. შესაბამისად იზრდება კრიპტოვალუტის ცნობადობა, რაც გამომწვეულია ამ უკანასკნელის პოტენციალით გარდაქმნას არსებული ტრადიციული ფინანსური სისტემები. რადგან კრიპტოვალუ-

ტის მომხმარებლები მის უპირატესობებს ხედავენ ისეთ თვისებებში, როგორიცაა: მყისიერი გადახდების განხორციელების შესაძლებლობა, დეცენტრალიზაცია, საკომისიოს დაბალი ხარჯები, გაუმჯობესებული უსაფრთხოება (რაც ემყარება ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს), ფინანსური ინკლუზიურობა და გლობალური ნედრობა.

თუმცა რეალურ დროში ადამიანთა უმრავლესობაში კრიპტოვალუტის მიმართ ეჭვები, გაურკვევლობა და სკეპტიციზმი რჩება მისი გამოყენების მთავარ შემაკავებელ ფაქტორად.

კრიპტოვალუტის მიმღებლობას, ზემოთ აღნიშნული თვისებების გარდა ხელს უწყობს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთი გლობალური ფაქტორები, როგორიცაა: გეოპოლიტიკა და მაკროეკონომიკა.

გეოპოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კრიპტოვალუტით განხორციელებული ტრანზაქციების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ ძირითადად განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნები ხასიათდებიან ტრანზაქციების მნიშვნელოვანი მოცულობებით peer-to-peer პლატფორმებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს არ მოწყდნენ გლობალურ ფინანსურ სისტემას, გვერდი აუარონ პოლიტიკურ სანქციებს და განახორციელონ ტრანზაქციები, რომლებიც არ კონტროლდება გარკვეული ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების მიერ და არ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტი. საერთაშორისო ვაჭრობა დიდწილად არის დამოკიდებული ამერიკულ დოლარზე, რაც შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევს იქონიოს დომინანტური პოზიცია მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე და შესაბამისად აღნიშნული გამოიყენოს როგორც ბერკეტი საგარეო პოლიტიკის მართვისათვის. 2020 და 2021 წლებში Chainalysis-ის მიერ მომზადდა ანალიტიკური ანგარიში კრიპტოვალუტის მიღების ინდექსის შესახებ. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ რიგი ქვეყნებისათვის გლობალურ ფინანსურ სისტემაზე წვდომის შეზღუდვა, სანქციების პოლიტიკის განხორციელება, უმეტეს შემთხვევაში მუშაობს როგორც მასტიმულირებელი მიზეზი რადგან დისკომფორტის აღმოსაფხვრელად ადამიანები, მიმართავენ ტრანზაქციებს კრიპტოვალუტის გამოყენებით. ამჟამად, დოლარის რეალური ალტერნატივა კრიპტოვალუტებს შორის რა თქმა უნდა არ არსებობს. თუმცა, კრიპტოვალუტის ბაზრის შემდგომი განვითარება და კრიპტოვალუტის სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორებების განხორციელება

შესაძლებელს გახდის ცვლილებები შევიდეს დოლარიზაციის დომინანტურ პოზიციაში.

შემდეგი გლობალური ფაქტორი, რომელიც იწვევს კრიპტოვალუტების მასობრივ მიღებას, არის მაკროეკონომიკა.

მსოფლიოს რიგ ქვეყნებში რთული მაკროეკონომიკური პირობებია. მიზეზები კი განსხვავებულია: ქვეყანაში არსებული ფინანსური და სავალუტო კრიზისი, მაღალი ინფლაცია, რეზიდენტების მხრიდან ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი ნდობის დაბალი დონე და ა.შ. აღნიშნული პრობლემების გაცნობიერება და წარმოშობილ ეკონომიკურ სირთულეებთან კონტაქტი ადამიანებს აიძულებს პრობლემების გადასაჭრელად მიმართონ კრიპტოვალუტებით განხორციელებულ ოპერაციებს. რადგან კრიპტოვალუტებს აქვთ გამორჩეული მახასიათებლები, რაც მათ მიმზიდველს ხდის მასობრივი გამოყენებისთვის სხვა ტიპის ვალუტებთან მიმართებაში.

კრიპტოვალუტების გლობალურ დონეზე მიღება არ არის მარტივი რადგან აღნიშნულის მისაღწევად სჭირდა გარკვეული თანმიმდევრული ეტაპების გავლა. რომლებიც პირობითად შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ (იხ. სქემა).

მნიშვნელოვანია რომ თვითოეულ ეტაპზე ხდება კრიპტოვალუტისათვის უკეთესი ფინანსური ლანდშაფტის შექმნა და განვითარება, რომელიც მიიღწევა ინტერნეტისა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიის განვითარებით. კრიპტოვალუტის და დეცენტრალიზებული სისტემების ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ამჟამად ვიმყოფებით კრიპტოვალუტების ინსტიტუციური მიღების ეტაპზე, სადაც კრიპტოვალუტები ოფიციალურად არის აღიარებული ფინანსურ აქტივად. შემდეგი ეტაპი იქნება კრიპტოვალუტების გლობალური მიღება და მათი ინტეგრაცია გადახდის სისტემებთან მთელს მსოფლიოში, რაც შეცვლის გლობალურ ფინანსურ სისტემას.

კრიპტო ბაზარზე ბოლო წლების დაკვირვება აჩვენებს, რომ სულ უფრო მეტი ქვეყნის მაცხოვრებლები გადადიან კრიპტოვალუტის გამოყენებით გადახდების და ტრანზაქციების განხორციელებაზე. კრიპტოვალუტების მეშვეობით განხორციე-

საწყისი	• პირველი ცნობები კრიპტოვალუტაზე. ბიტკოინის და სხვა კრიპტოვალუტების შექმნა. კრიპტოვალუტის ბაზრების წარმოშობა და განვითარება
სპეკულატიური	• საინვესტიციო ბუმის დაწყება, კრიპტოვალუტის პოპულარობა სწრაფად იზრდება
ინსტიტუციალური	• კრიპტო ბაზარზე პროფესიონალური და ინსტიტუციონალური ინვესტორების მხრიდან გაზრდილი აქტივობა
ინტეგრაციული	• კრიპტოვალუტის ინტეგრირება მსოფლიოში არსებულ გადახდის სისტემებთან

ლებული ანგარიშსწორების მოცულობის უმეტესი ნაწილი მოდის ტრანზაქციულ ოპერაციებზე Peer-to-peer პლატფორმებზე P2P. ასევე მზარდია კრიპტოვალუტის მფლობელებს შორის ტრანზაქციების განსახორციელებლად დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემების (DeFi) გამოყენების ხვედრითი წილი. რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს კრიპტოვალუტების პლატფორმების ტიპს, რომელსაც მუშაობა შეუძლია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ბაზაზე, ცენტრალური მართვისა და კონტოლის მხარდაჭერის გარეშე. დეცენტრალიზებული ფინანსები (DeFi) მოწოდებულია ახალი თაობის ფინანსური სერვისების შექმნისათვის. მას შეუძლია გახდეს საბანკო სექტორის ალტერნატივა და ჩაანაცვლოს მიმდინარე ფინანსურ სისტემაში მოქმედი ტრადიციული ტექნოლოგიები.

DeFi-ს სერვისების მზარდი ბაზარი კრიპტოვალუტის ეკოსისტემის ბაზრის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ განვითარებადი ბაზრები, ასტიმულირებენ კრიპტოვალუტების მიღებას, რაც ბაზრის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს უპრობლემოდ ქონდეთ წვდომა საკუთარ აქტივებზე, რათა შეინარჩუნონ და გაზარდონ თავიანთი დანაზოგები. DeFi-ის სერვისების სრული მიღება კრიპტო ბაზრის განვითარების პარალელურია. ამ ეტაპზე ტრეიდერების და ინვესტორების ამოცანაა ახალი პროდუქტების და სერვისების მოძიება, DeFi-ის სისტემების, კრიპტოვალუტის და საერთოდ ახალი ინოვაციური სისტემების დანერგვისათვის.

დასკვნა

მოსახლეობაში კრიპტოვალუტის მასობრივმა გამოყენებამ და DeFi-ის პატფორმაზე არსებული სერვისების განვითარებამ, შესაძლოა მნიშვნელო-

ვანი გავლენა მოახდინოს ახალი ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებაზე.

კრიპტობაზრის განვითარების გლობალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოსახლეობის მხრიდან მაღალი აქტივობის ერთ-ერთი მიზეზი არის ეკონომიკური არასტაბილურობა. სახსრების დევალვაცია უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. აღნიშნული რეალობის ფონზე კი მოსახლეობა აქტიურად იწყებს კრიპტოვალუტის გამოყენებას კომერციული ტრანზაქციების განსახორციელებლად. ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში მათი დანაზოგების შენარჩუნების აუცილებლობა და ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში ტრანზაქციების განხორციელება ასევე არის კრიპტოვალუტების მასობრივი გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი.

კრიპტოვალუტის ბაზრების ზრდა და მოსახლეობის მხრიდან კრიპტოვალუტისადმი გაზრდილი ყურადღება მიუთითებს იმაზე, რომ გლობალური ფინანსური სისტემა კრიპტოვალუტების მასობრივი გამოყენების ზღვარზეა.

მიმდინარე ცვლილებები არსებული ფინანსური სისტემების გარდაქმნის საშუალება და ეს უკანასკნელი გზას უხსნის განვითარების ახალ პერსპექტივებს. აძლევს მათ ახალ შესაძლებლობებს ხარჯების შემცირებისა და ფინანსური მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ამჟამად ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა ნელ-ნელა და თანმიმდევრულად გადადის დეცენტრალიზებული ტექნოლოგიების სპექტრში. ახალი ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელება სულაც არ ცვლის მომხმარებლის გამოცდილებას, ის უბრალოდ აუმჯობესებს სერვისს, აუმჯობესებს ხარისხს და ამცირებს ხარჯებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩუთლაშვილი ა., ბარბაქაძე ხ., „ფინანსური ინსტიტუციები და ბაზრები“ სალექციო კურსი თბ, 2016წ
2. სიჭინავა ა. „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ სალექციო კურსი თბ 2019წ
3. ცომაია ა. „თანამედროვე მაკროეკონომიკა“ წიგნი 1 თბ 2022წ საქ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ჯოლია გ. „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ თბ 2015წ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. Андрюшин С.А. Смена парадигмы денежной системы: от централизации к децентрализации // Актуальные проблемы экономики и права. 2018. № 2.
6. Щеголева Н.Г., Мальсагова И.Г. Криптовалюты как вектор диджитализации мировой валютной системы: риски и тренды // Государственное управление. Электронный вестник. 2019. № 74. С.
7. The 2020 Geography of Cryptocurrency Report. — URL: <https://bitcoinke.io/wp-content/uploads/2020/09/2020-Geography-of-Crypto-Report-Chainalysis-compressed.pdf> (გადამოწმებულია 04.03.2023წ)
8. The 2021 Geography of Cryptocurrency Report. — URL: <https://bitcoinke.io/wp-content/uploads/2021/10/Geography-of-Cryptocurrency-2021.pdf> (გადამოწმებულია 15.05.2023წ)